MES 8 23 0000607690

29/05/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.05.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**
4. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
5. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

9. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
10. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
მაკა მურვანიძე		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეკოლოგია" ხელმძღვანელი, კოორდინატორი	I
გიორგი მახარაძე		ქიმიის დოქტორი, საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია" ხელმძღვანელი,	**I**
ვაჟა ტრაპაიძე			I

	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია" ხელმძღვანელი	
ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	I, II
ნატალია ბარათელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი,	I, II
სალომე დუნდუა		- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,	II
მალხაზ მაცაბერიძე		პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის თანახელმძღვანელი	II
ალექსანდრე კუხიანიძე		პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის თანახელმძღვანელი,	II
რევაზ ჯორბენაძე		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,	II
ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV
გაიოზ ფარცხალაძე		ფაკულტეტის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
გოჩა ჩავლეშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
თეონა ბერიძე		ფაკულტეტის დეკანი	IV
მიხეილ მახარაძე			IV

		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
ლალი ზაქარაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
ვარდო ბერიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
თეონა ხუფენია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტ	რექტორი	V
ნინო ფეტვიაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
ლალი აბდალაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
ნინო მაქაცარია		ფაკულტეტის დეკანი	V
ქეთევან ლატარია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
ლელა წითაშვილი	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
ლერი ნოზაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
ლევან მაკარაძე		ფაკულტეტის დეკანი	VI
ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII, VIII
ერეკლე მაღრაძე		პროფესორი, ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი	VII
ნიკოლოზ ყაველაშვილი		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	VII
პაატა გოგიშვილი		კომპიტერული ინჟინერიის(ძირითადი და სამატებითი პეცოალობა) პროგრამის ხელმძღვანელი	VII
მაია ბიწაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII

ანა თოფურია		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	VII
ლევან ცაგარელი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VIII
ნინო მატარაძე		ფაკულტეტის დეკანი	VIII
მაკა ლაშხია		ფაკულტეტის ხერისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაია აზმაიფარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ივანნა მაჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მირიან ებანოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, VIII
7	მარიამ ბანძელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ია მოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
9	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
10	გულადი ფარტენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
11	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
12	**დავით გეგეჭკორი**	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
13	თეონა ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

14	დიმიტრი ცანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე გამხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი “არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გამხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე გამხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გამხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

1.პირველი საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე გამხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია/ Ecology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 196 28/10/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ეკოლოგიაში

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა – 0521
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ., თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაღანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის თებერვალში აკრედიტაციის პროცესის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფასდა პირველი „1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“, მე-2 „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ და მე-4 „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ სტანდარტები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, პროგრამისათვის გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლის შესრულებისათვის ინსტიტუციას განესაზღვრა 6 თვიანი ვადა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 14 აგვისტოს ბრძანების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შეფასდა გაცემული რეკომენდაციების 6-თვიან ვადაში შესრულების მდგომარეობა. გამოვლინდა, რომ დაწესებულებას ორი რეკომენდაცია არ ჰქონდა სრულად შესრულებული. საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე პროგრამას რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვრა 60 დღიანი ვადა.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 20 თებერვლის ბრძანების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა სრულიად შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციისა და კონსტრუქციული შეფასებებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:15
დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე 2 მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2.მეორე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება Political Science
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№32530; 17.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Arts in Political Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №1, №8, თსუ-ს კორპუსები I, IV; თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაღანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი. მეორე სტანდარტის გარდა 5 სტანდარტიდან ყველა შეფასდა როგორც, შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი - როგორც მეტწილად შესაბამისობაში. საგანმანათლებლო პროგრამაში გაცემული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით მხარდამჭერმა კომიტეტმა დაგეგმა რიგი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში იყო ჩართული როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, პოტენციური და არსებული დამსაქმებლები. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა და პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, ცვლილებები განხილული და დადასტურებული იქნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში და სილაბუსებში.
პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევები, რის შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რათა მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების სწორი პრიორიტეზაცია. აკრედიტაციის საბჭოს რჩევები სრულიად გათვალისწინებული იქნება მათი განხორცილებეის შემდგომ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:22
დასრულების დრო: 14:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების სკაითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი “არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გამხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა/ Architecture
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№37, 02/03/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება Architecture and Town Planning 0731
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინოშვილის ქ.35, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6010, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაღანიძემ და თამარ სირაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს ბრძანებით შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2022 წლის 29 ნოემბრის წერილით წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, რომელიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოხდა მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და ექსპერტთა დასკვნის ჩამყალიბება. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასებისათვის განხილულია პირველი და მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1, 4.3, 4.4 ქვესტანდარტი.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია „საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაში" აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ არქიტექტურის სფეროს სპეციფიკაზე და ყველა დანარჩენი დარგი მოხსენიებული იქნას როგორც არქიტექტორული აქტივობის, მათ შორის საპროექტო-დაგეგმარებითი პროცესების, თანმდევი და საჭირო მომიჯნავე მიმართულებები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 3-ში ნაცვლად ჩანაწერისა - „არქიტექტურულსამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის", მიზანშეწონილია დაფიქსირდეს „არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებისათვის";
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 5, 6 და 7 -ში ნაცვლად ტერმინისა „საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობები", დაფიქსირდეს „შენობა-ნაგებობები";
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსები - სამშენებლო კონსტრუქციები I (გრუნტების მექანიკა და ფუძე საძირკვლები), სამშენებლო კონსტრუქციები II და სამშენებლო კონსტრუქციები III (ლითონის კონსტრუქციები) არ უნდა გადიოდეს პროგრამის სწავლის მე-8 და მე-9 შედეგებზე;
5. რეკომენდებულია წარმოდგენილ პროგრამას დაემატოს მინიმუმ ორი არქიტექტურული დაგეგმარების კურსი, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სირთულე თანდათან გაიზრდება არქიტექტურული დაგეგმარების ყოველი შემდგომი სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
6. რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)"-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)", ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები;

7. რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა“-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა“, ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები.
8. რეკომენდებულია, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებული იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა.
9. რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.);
10. რეკომენდებულია არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საბაკალავრო ნაშრომი“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია;
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე;
13. რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო წყაროები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე. კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება, სწავლების სფეროს კლასიფიკატორში გამოყოფილია ფართო სფერო 07 - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, რომელ ეტაპზეც არქიტექტურა არ არის მშენებლობიდან გამოყოფილი. შემდგომ მოდის ვიწრო სფერო 073 - არქიტექტურა და მშენებლობა. ამ მიზნით საჭიროდ იქნა ჩათვლილი საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაში არქიტექტურასთან ერთად მოხსენებული ყოფილიყო მშენებლობა. ამას გარდა, არქიტექტურული პროექტები ძირითადად ხორციელდება მშენებლობაში. ჩვენ ქვეყნაში ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ადგენს მშენებლობა. ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების დიდი წილი მოდის მშენებლობის სექტორზე, თუმცა შესაძლებელია „არქიტექტურის“ საგანმანათლებლო პროგრამის კურსამთავრებულების დასაქმება მოხდეს სხვა სფეროებშიც მაგ: არქეოლოგიაში, ხელოვნებაში, დიზაინში და სხვ. თუმცა ამ მიმართულებით დასაქმების მაჩვენებელი დღეისათვის არ არის მნიშვნელოვანი. მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზების გამო იქნა წინ წამოწეული არქიტექტურასთან ერთად მშენებლობის სფერო, რათა პროგრამა გამხდარიყო უფრო მეტად აქტუალური, საინტერესო და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა მშენებლობის სფეროს წინ წამოწევას. ასევე, ყველა საერთაშორისო გამოცდილებით არქიტექტორი არის პროექტის ავტორი, ხელმძღვანელი და ზედამხედველი, შედეგად ის უნდა აცნობიერებდეს პროექტის ყველა შემადგენელ ნაწილს.

პროგრამის ხელმძღვანელმა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულს.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, საშუალო სირთულის შენობა ნაგებობებში იგულისხმება, ისეთი შენობა-ნაგებობები, რომელთა მალები არის 42 მ-მდე, სართულების რაოდენობა 20-მდე და დაფუძნებულია მარტივ გეომეტრიულ ფორმებზე, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას შეისწავლოს და დააპროექტოს დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული შენობა-ნაგებობებების ტიპები, კერძოდ, დგარულ-კოჭოვანი სისტემები, დამყოლ საკვანძო კავშირებიანი სისტემები, სიხისტის დიაფრაგმიანი სისტემები, ჩარჩოვანი სისტემები, ფერმული (წამწეების) სისტემები, თაღოვანი სისტემები და სხვ. ამ სისტემებზე უფრო დიდი მალების,

მეტი სართულიანობისა და რთული გეომეტრიული მოხაზულობის შემთხვევები განხილული უნდა იქნას სამაგისტრო დონეზე. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას.
მნიშვნელოვანია, ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ მე-8 შედეგში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რაც გულისხმობს, რომ რომელიმე ზემოთმოყვალი სასწალო კურსის ათვისების შემთხვევაში, სტუდენტს შეეძლება მოამზადოს პროექტი და დასაქმდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ისე, რომ არ იქნეს დამოკიდებული სხვა რომელიმე სასწავლო კურსებზე. მე-9 შედეგი გულისხმობს პროფესიულ განვითარებას, რაც გამოიხატება იმ მიდგომაში, რომ კონსტრუქციები და სტრუქტურები წარმოადგენენ არა მარტო ზიდვის უნარის მქონე ელემენტებს, ასევე წარმოადგენენ არქიტექტურულ ფორმებსაც, ამის მაგალითებია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების აეროპორტები, ხიდები, სტადიონები და სხვა სტრუქტურები.
რაც შეხება მე-5 რეკომენდაციას, რეკომენდაცია მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამა გადავა არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ 180 ECTS კრედიტიან სისტემაზე.
დაწესებულების წარმომაგენელმა ასევე ისაუბრა მე-6 რეკომენდაციასთან, რომელსაც ინსტიტუცია ეთანხმება მხოოდ ნაწილობრივ. არქიტექტურულ მოცულობით დაგეგმარებაში იგულისხმება არა მარტო ცალკე აღებული შენობის არქიტექტურული დაგეგმარება, არამედ მისი დაპროექტება არსებული განაშენიანებისა და გარემო პირობების კონტექსტში - ერთიან მოცულობაში. ამასთან პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსები „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები I“, „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები II“ და მათ შორის თემატური განვითარების უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სათაურში სიტყვა მოცულობითის დამატება. თუმცა შესაძლებელია ამაზე არ იქნას ხაზი გასმული და სასწავლო კურსს დაერქვას „არქიტექტურული დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)“. საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით რეკომენდაცია მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამა გადავა არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ 180 ECTS კრედიტიან სისტემაზე.
აღსანიშნავია ასევე მე-7 რეკომენდაცია, არქიტექტურულ მოცულობით დაგეგმარებაში იგულისხმება არა მარტო ცალკე აღებული შენობის არქიტექტურული დაგეგმარება, არამედ მისი დაპროექტება არსებული განაშენიანებისა და გარემო პირობების კონტექსტში - ერთიან მოცულობაში. ამასთან პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსები „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები I“, „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები II“ და მათ შორის თემატური განვითარების უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სათაურში სიტყვა მოცულობითის დამატება. თუმცა შესაძლებელია ამაზე არ იქნას ხაზი გასმული და სასწავლო კურსს დაერქვას „არქიტექტურული დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა“. საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით რეკომენდაცია მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამა გადავა არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ 180 ECTS კრედიტიან სისტემაზე.
რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, „არქიტექტურის“ საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2018 წლის თებერვალში. იმ დროისათვის ის მომზადებული იქნა, როგორც აკრედიტაციის, ისე საუნივერსიტეტო მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, ძირითადი სპეციალობას დაეთმო 180 კრედიტი, დამატებითი სპეციალობას კი 60 კრედიტი, უშუალოდ სპეციალობის სასწავლო კურსებზე (საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო, უცხო ენების სასწავლო კურსების გამოკლებით) დათმობილი იქნა 140 კრედიტი. 2020 წელს შემუშავდა არქიტექტურის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი რომელის შექმნაზეც ასევე მუშაობდა პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ ეტაპზე პროგრამა ელოდება მის შემდგომ რეაკრედიტაციას, რათა მოხდეს მისი გადაყვანა ახალ დარგობრივ მახასიათებელზე.

დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ძირითად სწავლის სფეროზე გათვალიწინებული იქნება 180 ECTS კრედიტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის რეკომენდაციას არ ეთანხმება, რადგან სკოლებში მოსწავლეებისათვის არ ისწავლება სამ განზომილებაში აზროვნების უნარის ჩამომაყალიბებელი საგნები (ხატვა, ხაზვა) მოსწავლე იძულებული გახდება მეცადინეობა დაიწყოს რეპეტიტორებთან. რეპეტიტორთან მეცადინეობა დაკავშირებული იქნება არა მხოლოდ ფინანსურ პრობლემებთან, არამედ სოფელსა და რაიონებში ამ მიმართულების რეპეტიტორის არ არსებობის პრობლემასთან. ამასთან ფაკულტეტს გააჩნია ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის სწავლების დიდი ხნის გამოცდილება, ხოლო სახვითი ხელოვნება ისწავლება სამ ნაწილად. ამ სასწავლო კუსების გავლის შემდგომ მათ ჩამოუყალიბდებათ და განუვითარდებათ სამ განზომილებაში აზროვნების უნარი.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა არის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. ბათუმში მცირეა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების მიმართულებით. ამას მოწმობს 2018 წელს გამოცხადებული კონკურსის ჩავარდნა კონკურსანტის არ არსებობის გამო. სხვადასხვა მიზეზით საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შეტანილია ცვლილება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტებს ეძლევათ უფლება აკადემიურ თანამდებობაზე აირჩიონ ხელოვნების მიმართულების წარმომადგენლები ისე, რომ მათ არ გააჩნდეთ აკადემიური ხარისხი. ასეთი შემთხვევები ხშირია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, რადგანაც ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების მიზნებში წინ არ არის წამოწეული სახელოვნებო მიმართულება, იმ მიზეზით, რომ მას 2010 წლიდან გამოეყო ხელოვნების მიმართულება, დღეისათვის ბსუ ემხრობა იმ პრინციპს, რომ აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტები ან დოქტორის ხარისხის მქონე პირები. პროგრამაზე არჩეული იქნა ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცდილი არქიტექტორი, რომელსაც ჰქონდა დოქტორანტის სტატუსი. მას შემდეგ რაც აკადემიური ხარისხი დაიცვა ერთ-ერთმა მოწვეულმა არქიტექტორმა, ისიც არჩეული იქნა ასიტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, ამჟამად ფაკულტეტზე ასწავლის მოწვეული სპეციალისტი - უფროსი მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი არქიტეტურაში. ზოგადად უნივერსიტეტი ემზადება გამოაცხადოს კონკურსი კიდევ ერთ აკადემიურ თანამდებობაზე არქიტექტურის მიმართულებით. პროგრამას ყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ახლა მათ დაემატება ახლადარჩეული აკადემიური პირი, რომელსაც გააჩნია აკადემიური ხარისხი არქიტექტურის მიმართულებით. სამივე ხელმძღვანელი თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში შეუწყობენ ხელს პროგრამის წარმატებულ განხორციელებას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, პროგრამის ხელმძღვანელებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია სტრუქტურების ფორმათწარმოქმნის, მხაზველობითი გეომეტრიის, არქიტექტურული დაგეგმარების მიმართულების პუბლიკაციებით Web of Science-ის მაღალ იმპაქტფაქტორიან (3,75), Scopus, Elsevier, Scimago, EBSCO და სხვა სამეცნიერო ინდექსირებულ ბაზებში.
მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ საბაკალავრო ნაშრომებს ხელმძღვანელობს არქიტექტურის კვალიფიკაციის მქონე პირები. არის შემთხვევები, როდესაც კონსულტანტად შემოდის სხვა მიმართულების სპეციალისტიც, თუმცა პროექტის არქიტექტურული ნაწილი ყოველთვის მიყავს არქიტექტორს. არქიტექტურის საბაკალავრო ნაშრომი შედგება სხვადასხვა ნაწილებისაგან: განმარტებითი ბარათი, არქიტექტურული პროექტი შესრულებული ხელით და კომპიუტერული გრაფიკით, კონსტრუქციული ნაწილი, რომლებსაც ყავთ თავიანთი კონსულტანტები, რომელთაც ხელმძღვანელობს არქიტექტორი.

ამასთან, მნიშვნელოვანია რეკომენდაცია სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებით, „საწარმოო პრაქტიკას“ უძღვებიან არქიტექტორის კვალიფიკაციის მქონე პირები, თუმცა სამშენებლო ობიექტზე გასვლისას მათ კონსულტანტებად ემატება მშენებელი, ან შრომის უსფრთხოების სპეციალისტი, ჩანახატის, ესკიზის გაკეთებისას სახვითი ხელოვნების ლექტორი. „საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსის ავტორად დაფიქსირდება არქიტექტურის კვალიფიკაციის მქონე პირი.
გარდა ამისა, ამ ეტაპზე სილაბუსები განახლებულია თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურით. მოძიებულია თითქმის ყველა ქართულენოვანი თანამედოვე ლიტერატურა. კვლავაც განახლდება სასწავლო კურსების სილაბუსებში ლიტერატურისა და სახელმძღვანელო წყაროების მოძიება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ ექსპერტებმა იხელმძღვანელეს იმ მასალით რომელიც იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ, ეს იყო პირადი საქმეები თუ სილაბუსები. რაც შეეხება ჩარჩოსთან შესაბამისობასა და შედეგების შეცვლას, კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი გულისხმობს სწავლის შედეგების მოდიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის შეცვლასაც კი. გამომდინარე აქედან, ექსპერტი არ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელს იმ ნაწილში, რომ შეუძლებელია სწავლის შედეგების მოდიფიცირება და ამისთვის აუცილებელია დაწესებულება დაელოდოს კლასტერის აკრედიტაციას, რომელიც განსაზღვრულია 2026 წელს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებელი არ წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს, ის არის კანონქვემდებარე აქტი და იდეაში ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, მაგრამ ეს დოკუმენტი შემუშავებული იქნა გარკვეული აზრისა და მიზნის გათვალისწინებით. გამოდმინარე აქედან, პროგრამა რომელიც იყო აკრედიტებული 2018 წელს, ხოლო კლასიფიქატორი შემუშავებული იქნა 2020 წელს და ამასთან პროგრამა ელოდება 2026 წელს რათა განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები, აღნიშნული ხელს შეუშლის პროგრამის განვითარებასა და სრულად ჩამოყალიბებას.

15:00- საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიდგომა არის ხელშეწყობა და შესაბამისი კვალიდიკაციის კადრების მოძიება, არა მხოლოდ აკადემიური ხარისხის მქონე პირთა, არამედ იმ პირთა რომელთა პროფესიული საქმიანობა პირდაპირ ბმაში არის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან. თუმცა, დასკვნაში გაკეთებული ჩანაწერი - ,, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები - სრული პროფესორი გაიოზ ფარცხალაძე და ასოცირებული პროფესორი გოჩა ჩავლეშვილი არ არიან არქიტექტორის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია”, ამასთან ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქალბატონი ნინო ჩაჩავას გახლავთ სტუ-ის აკადემიური პერსონალი, მისი აქტიური ჩართულობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სალექციო კურსების საუდიტორულ რეჟიმში სტაბილურად ჩასატარებლად სავარაუდოდ შეუძლებელი იქნება, ხოლო ქალბატონი ლალი გერსამია (მოწვეული სპეციალისტი) რჩება ზემოხსენებული, უმნიშვნელოვანესი სასწავლო კურსების ერთადერთ განმახორციელებელ ლექტორად. ეს გარემოება საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას'' -მსგავსი შეფასება იყო საკმაოდ მძიმე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2018 წელს, თუმცა მაშინ არ დასმულა პროგრამის ხელმძღანელის კვალიფიკაციის საკითხი. ბატონი გაიოზი მონაწილეობას იღებდა საკვალიფიკაციო ჩარჩოს ჩამოყალიბებაში, ამასთან იგი წარმოდგენილი

იყო სააკრედიტაცო საბჭოს წევრადაც, შესაბამისად ის რომ პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს კვალიფიკაცია არის საკმაოდ მძიმე და გადაჭარბებული შეფასება ექსპერტების მხრიდან, რაც სრულიად მიუღებელია.

15:03- საბჭოს სხდომას შეუერთდა საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია

საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ადამიანი, რომელიც არის ორი ძირითადი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, ამასთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აფელირებული პროფესორი როგორ შეიძლება ჩვეულ რეჟიმში და არა ონლაინ პარალელურად თბილისსა და ბათუმში ერთად ატაროს ლექციები. მოცემული არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი რამის განხორციელება არის შეუძლებელი, უბრალოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულის განორხიელება წარმოადგენს დიდ სირთულეს.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის გაცნობის შედეგად ჩთაბეჭდილება რჩება, რომ მოცემული პროგრამა არის სამშენებლო პროგრამა არქიტექტურის დანამატებით. საგანმანათლებლო პროგრამისაქტუალობის აღწერისას, არქიტექტურის სფეროს განმარტების პარალელურად, დარგის სპეციფიკაზე უფრო ხშირად გამოიყენება სამშენებლო აქტივობების გამომხატველი ტერმინები, რაც შინაარსობრივად ზედმეტად აქცენტირებულს ხდის სამშენებლო სფეროს, რაც ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს არ უნდა მოეთხოვებოდეს სამშენებლო კონსტრუქციებისა, შენობის საინჟინრო აღჭურვის სისტემების იმგვარი ცოდნა, რომ წარმართოს სამშენებლო სამუშაოები, კოორდინაცია გაუწიოს სამშენებლო პროექტებს, უზრუნველყოს ქვეყნის მთლიანი სამშენებლო კომპლექსის გამართული ფუნქციონირება და ეკონომიკური განვითარება. აუცილებელია პროგრამის ფარგლებში აქცენტი გაკეთდეს არქიტექტურულ სპეციფიკაზე, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი დარგი მოხსენიებული უნდა იყოს არქიტექორული აქტივობის, მათ შორის საპროექტო დაგეგმარების პროცესის თანმდევი და საჭირო მომიჯნავე სპეციალობები.

სწავლის შედეგი 3 ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ფლობს შენობა-ნაგებობის სტრუქტურების, კონსტრუქციების, მასალების, საინჟინრო გაანაგარიშების საფუძვლებს, ზუსტი, ბუნებისმეტყველებისა და მექანიკის მეთოდების გამოყენებით, საჭირო არქიტექტურულ-სამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის“, რაც შინაარსობრივად სცდება არქიტექტურის ბაკალავრის უნარებს. აქედან გამომდინარე, ნაცვლად „არქიტექტურულ-სამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის“, მიზანშეწონილია დაფიქსირდეს „არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებისათვის“, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სამშენებლო გადაწყვეტილების მიღება იქნება არაკომპეტენტურობა.

სწავლის შედეგი 5, 6 და 7 -ში აღნიშნულია, რომ სტუდენტი ქმნის „საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობების“ არქიტექტურულ პროექტს, რაც არ შეესაბამება სრულფასოვანი არქიტექტურული საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს და წინააღმდეგობაში მოდის ამავე პროგრამის სასწავლო კურსებთან, კერძოდ ერთ-ერთი სილაბუსში „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება II სასწალო პრაქტიკა“ სასაწავლო კურსის მიზანში წერია, რომ სტუდენტი სწავლობს სასწავლოაღმზრდელობითი, სანახაობითი, სპორტული, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, სატრანსპორტო დაანიშნულების, სამკურნალოპროფილაქტიკური შენობები და ნაგებობების დაპროექტებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგებში არ იქნას ხაზგასმული რომ სტუდენტი აკეთებს მხოლოდ „საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობებს. „პროგრამის სწავლის შედეგის“ ცხრილში არნიშნულია, რომ სასწავლო კურსები - სამშენებლო კონსტრუქციები I (გრუნტების მექანიკა და ფუძე საძირკვლები), სამშენებლო კონსტრუქციები II და სამშენებლო კონსტრუქციები III (ლითონის კონსტრუქციები) გადის სწავლის მე-8 და მე9 შედეგებზე, თუმცაპროგრამაში სწავლის შედეგი 8 შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: “არქიტექტურული პროექტის მომზადებისას, იცავს ეთიკის მოთხოვნებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს, პასუხისმგებლობით ეპყრობა კულტურული მემკვიდრეობის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს“, ხოლო სწავლის შედეგი 9-ში ვკითხულობთ „გეგმავს

საკუთარ პროფესიულ განვითარებას“. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ვინაიდან ზემოხსენებული სამივე სასწავლო კურსი სამშენებლო მიმართულებას განეკუთვნება, არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის მე-8 და მე-9 სწავლის შედეგებზე არ უნდა გადიოდეს.
ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა მოითხოვს რიგ ცვლილებებს არქიტექტურული და სამშენებლო სფეროს სასწავლო კურსების განაწილების პროპორციულობაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში არ არის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სასაწავლო კურსების საკმარისი რაოდენობა, რადგან არქიტექტურის ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში სტუდენტის მიერ მხოლოდ ორი არქიტექტურული პროექტის დაგეგმარება არ არის საკმარისი, მაშინ როდესაც გვაქვს სამშენებლო კონსტრუქციების სამი სასწავლო კურსი, ასევე სამშენებლო მექანიკის საფუძვლები და საინჟინრო მექანიკა. მიზანშეწონილია, წარმოდგენილ პროგრამას დაემატოს მინიმუმ ორი არქიტექტურული დაგეგმარების კურსი. საერთო ჯამში, არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები I და არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები II (აზომვითი პრაქტიკა)-ს შემდგომ, სტუდენტი გააკეთებს არანაკლებ ოთხ არქიტექტურულ პროექტს, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სირთულე თანდათან გაიზრდება არქიტექტურული დაგეგმარების ყოველი შემდგომი სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, აუცილებელია ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებული იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა.
პროგრაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია პროგრამის კურიკულუმში, ასევე დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია „ბსუ-ს პრეზენტაცია აბიტურიენტებისათვის - 2023 (აბიტურიენტთა ბროშურის ელექტრონული ვერსია), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.).
ინსტიტუციის მიერ მოწოდებული მასალების გაცნობის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების მხრივაღინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები. აუცილებელია, რომ მოცემული პროგრამის ხელმძღვანელი იყოს არქიტექტორი.
რაც შეეხება ლიტერატურას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო წყაროები არის მოძველებული, ზოგიერთი მათგანი 1960-იან წლებში არის გამოცემული, მაგ.: საინჟინრო გრაფიკა I, საინჟინრო მექანიკა, საინჟინრო გრაფიკა II, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სამშენებლო მექანიკის საფუძვლები, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, არქიტექტურის დაგეგმარების საფუძვლები I, არქიტექტურული კონსტრუქციები, არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება II და ა.შ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო არაერთი ექპსერტი თუ კონსულტანტი. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა ვალენსიის პოლიტიკის უნივერსიტეტთან, რის ფარგლებშიც ჩატარებულა არაერთი გაცვლითი პროგრამა არიქექტურის მიმართულებით. მოცემული პროგრამა თითქმის მსგავსია ვალენსიის უნივერსიტეტში არსებული პროგრამისა, სასწავლო კურსებიც არის ძალიან მიმსგავსებული. როგრამაში საკმაოდ სიღმისეულად არის განსაზღვრული კომპოზიციები, მოცემულია როგორც ,,არქიტექტურა 1” ასევე არქტიტექტურა 2”, ,,არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები”, ,,მოცულობითი დაგეგმარება”, ,,ინტერიერი”, ,,ლანდშაფტის არქიტექტურა” და.ა.შ. ამასთან ყველა საგანი ითვალიწინებს პროექტს, შესაბამისად, ექსპერტების მითითება, რომ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ორი პროექტი არის განსაზღვრული არ შეესაბამება რეალობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლასიფიკატორში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი, რომ არქიტექტურა შეისწავლის შენობა-ნაგებობების პროექტირების, ხელმძღანელობას, მეცნიერებასა და ტექნიკას. ის მხედველობაში იღებს როგორც გამოყენების, სტრუქტურის სტაბილურობისა და ფუნცქიონირების ერთიანობას, ასევე ესთეტიკურ მიზნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ დააზუსტა გადის თუ არა პროგრამა არქიტექტორის კავლიფიკაციაზე იმ სახით რა სახით არის ამჟამად წარმოდგენილი, ამასთან არის თუ არა პროგრამაში არქიტექტორულ დაგეგმარებასთან დაკავშირბეული სასწავლო კურსების ის რაოდენობა, რაც არის აუცილებელი აღნიშნულ კვალიფიკაციაზე გასასვლელად.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ დააზუსტა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს კომუნიკაცია პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა რეკომენდაცია პროგრამის დაშვების წინაპირობებთან და დააზუსტა თუ რამდენად უფლებამოსილია ექსპერტთა კორპუსი აღნიშნული განსაზღვროს არა რჩევის არამედ რეკომენდაციის სახით.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა დასკვნაში მოცემული 2.2. კომპონენტი რომელიც შეფასებულია როგორც სრულიად შესაბამისობაში სტანდარტებთან, თუმცა ნარატიულ ნაწილში მოცემულია რომ ის ნაწილობრივ აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს. აქვე მოყვანილია საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მაგალითი, ამ სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგები და მოცემულია დასკვნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს შეუძლებლად მიაცნია ზემოთხსენებული უნარების მიღება და მათი განხორციელება მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის მეშვეობით. აკითხთან დაკავშირებით კი გაცემულია რჩევა. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებსკენ ამასთან მოუწოდა ექსპერტთა ჯგიფს განემარტათ იმ შემთხვევაში თუ საკიტხი არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს რამდენად უნდა იყოს განსაზღვრული რჩევისა და არა რეკომენდაციის სახით.

საბჭოს წევრმა, თინათინ ჭაბუკიანმა მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს 7 აკადემიუირ პერსონალი არქიტექტურის მიმართულებით, ხოლო დანარჩენი ძირითადად ინჟინერიის მიმართულებით, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დარღვეულია ბალანსი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ არსებული სახით პროგრამა გადის არქიტექტორის კვალიფიკაციაზე, რაც ასევე დადასტურებულია წინა აკრედიტაციის პროცესით. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომების დაცვის დროს დაწესებულებაში მოწვეულნი არიან მთავრობისა და სამინისტროების მთავარი არქიტექტორები, გარდა ამისა, როგორც აღინიშნა პროგრამა უკვე დიდი ხანია ფუნქციონირებს შესებამისად უნივერსიტეტი ვერ დაუშვებდა იმ ფაქტს რომ კვალიფიკაცია მიენიჭებინათ არაკვალიფიციური არქიტექტორისთვის.

15:30 საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ლევან ნიკოლეიშვილმა

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები, რომლებიც ფილოსოფიასა დაისტორიაში 3 კრედიტიან საგნებს შეიძლება კითხულობდნენ, შესაბამისად, აღნიშნული ერთიანად რომ იყოს ჩათვლილი იქნება არასწორი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია წინაპირობის სახით შემოქმედებით უნარების შემოწმებაზე, შესაბამსად აღნიშნული აპექტი მნიშვნელოვანია შემდგომში არქიტექტურული უნარების ჩამოყალიბებისთვის, გამოდმინარე აქედან საკითხი რეკომენდაციის სახით განისაზღვა თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია საკითხი განსაზღვრული იყოს რჩევის სახითაც, უბრალოდ ვინაიდან პრაქტიკის კურსი არის საკმაოდ მნიშვნელოვანი თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე მისი დატოვება ექსპერტებმა მიიჩნიეს მოცემული

სახით. ამასთან, კომპონენტი არის შესაბამისობაში, უბრალოდ ნარატივში შესაძლოა იყოს შეცდომა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:47

დასრულების დრო: 16:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დამატები 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის საშუალებით.

შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია „საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაში" აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ არქიტექტურის სფეროს სპეციფიკაზე და ყველა დანარჩენი დარგი მოხსენიებული იქნას როგორც არქიტექტორული აქტივობის, მათ შორის საპროექტო-დაგეგმარებითი პროცესების, თანმდევი და საჭირო მომიჯნავე მიმართულებები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 3-ში ნაცვლად ჩანაწერისა - „არქიტექტურულსამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის", მიზანშეწონილია დაფიქსირდეს „არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებისათვის";
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 5, 6 და 7 -ში ნაცვლად ტერმინისა „საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობები", დაფიქსირდეს „შენობა-ნაგებობები";
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსები - სამშენებლო კონსტრუქციები I (გრუნტების მექანიკა და ფუძე საძირკვლები), სამშენებლო კონსტრუქციები II და სამშენებლო კონსტრუქციები III (ლითონის კონსტრუქციები) არ უნდა გადიოდეს პროგრამის სწავლის მე-8 და მე-9 შედეგებზე;
5. რეკომენდებულია წარმოდგენილ პროგრამას დაემატოს მინიმუმ ორი არქიტექტურული დაგეგმარების კურსი, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სირთულე თანდათან გაიზრდება არქიტექტურული დაგეგმარების ყოველი შემდგომი სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
6. რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)"-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)", ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები;
7. რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა"-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება II

(სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა“, ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები.

8. რეკომენდებულია, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებული იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა.
9. რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.);
10. რეკომენდებულია არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საბაკალავრო ნაშრომი“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია;
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე;
13. რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო წყაროები.

4.მეოთხე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№76908; 12/01/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფილოსოფია და ეთიკა - 0223
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, უნივერსიტეტის I კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაღანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გათვალისწინებულია შენიშვნები, რომლის მიხედვით სტუდენტის შეფასების პროცესში იქნება დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა. ცალკეულ სილაბუსებს დაემატა ტექსტის ანალიზის წერითი უნარის შეფასების რუბრიკა, წარმოდგენილია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები.
არ ჩანს წარმოდგენილ ანგარიშში გადაიხედა თუ არა კურიკულუმის რუკა და არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მინიჭებას. ასევე, არ დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად. არ არის გამოკვეთილი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს გაეწევათ თუ არა დამატებითი კონსულტაცია, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა), ასევე, ეთმობა თუ არა მეტი ყურადღება სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით, ასევე, გაფართოვდა თუ არა შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდა თუ არა კვლევაში მონაწილე სუბიექტები. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმდჯომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტს აქვს შესაძლბელობა, რომ ის გარემოებები რაც დოკუმენტაციიდან ვერ იქნა გამოკვლეული გამოითხოვოს დაწესებულებიდა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რატომ არ იქნა გამოთხოვილი შესაბამისი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი არ იყო ინფორმირებული ამ შესაძლებლობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახეზეა ტექნიკური ხარვეზი, ვინაიდან, თვითშეფასება, რომელიც დაწესებულების მიერ იქნა წარმოდგენილი იყო ნაკლული. დაწესებულების მიერ მოხდა შვიდივე რეკომენდაციის შესრულება, უბრალოდ, ანგარიშში

ხარვეზით იქნა წარმოდგენილი მხოლოდ სამი რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებული აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომრემ დააზუსტა ცენტრთან შესაძლებელი იყო თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაციის გარეშე, მხოლოდ ზეპირი მოსმენის საფუძელზე საკითხის განხილვა.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზეპირი მოსმენის შედეგად, შესაბამისად აღნიშნული არის საბჭოს პრეროგატივა მიიღებს თუარა ზეპირ მოსმენის შედეგად მიღებულ ინფორმაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გააგრძელებს საკითხის განხლვას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვაბელმა ისაუბრა რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცის შესაბამისად რუკიდან ამოღებული იქნა რიგი არჩევითი კურსები.
მეორე რეკომენდაციის შედეგად, გადახედილი იქნა სწავლის შედეგები და მოხდა მათი რეფორმულირება კლასიფიკატორისა და დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ასევე მოხდა რამდენიმე სილაბუსის ცვლილებაც.
რაც შეხება შრომის ბაზრი კვლევას და მისი არეალის გაფართოებას, ეს იყო პროცესი რომელზეც დაწესებულება მუშაობდა თებერვლის თვიდან, რაც დაყოფილი იყო რამდენიმე ეტაპად. დაწესებულებამ ერთობლივი ძალისხმევით მოამზადა შრომის ბაზრის გაფართოებული კვლევის წინაპირობები, რის შედეგადაც დაზუსტდა და დაკონკრეტდა კვლევაში მონაწილე სუბიექტების არეალი. კვლევის სირთულისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, ემპირიული მასალის გადამუშავების პროცესმაც წაიღო გარკვეული დრო. ამ მონაცემების განხილვის შედეგად დადგინდა პროგრამისთვის შრომის მოთხოვნათა ახალი სპექტრი. გაფართოვდა ასევე თვისობრივი კვლევითი არეალი და გამოყენებული იქნა ჩაღრმავებული კვლევის მეთოდი, სადაც ჩაერთვნენ მოქმედი მაგისტრანტები.
მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების ჩართულობის საკითხი, რომელზეც დაწესებულება მუდმივად მუშაობს. გაცემული რეკომენდაციის თანახმად საგანმანათლებლო კომიტეტის ჩართულობის შედეგად მომზადებული იქნა სპეციალური სასწავლო -სამცნირო ღონისძიებების ნუსხა. ამას ასევე თან დაერთო ყოველსემესტრული აკადემიური პერსონალის კონსულტაციების გრაფიკი, შესაბამისად, ამ პერიოდში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებით მივიდეს დეპარტამენტში და განიხილოს ყველ ამნიშვნელოვანი საკითხი ხელმძღვანელთან ერთად. ნდა აღინიშნოს, ასევე, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა გეგმა, რის მიხედვითაც აღნიშნულ ღონისძიებებს მიეცემა ყოველწლიური ხასიათი. ამასთან დაწესებულება ატარებს ელექტორნულ ბაზებთან მუშაობის ტრენინგებს სტუდენტებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რამდენ სწავლის შედეგში მოხდა ფორმულირების შეცვლა გაზომვადობის მიზნებისთვის. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენი დაწესებულება დაემატა შრომის ბაზრის კვლევის გაფართოების შედეგად.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების შედეგად არ იყო საჭირო სწავლის შედეგების მთლიანი მოდიფიცირება, დაწესებულებამ შეცვლა ზმნების ფორმულირებები, რომ აღნიშნული ყოფილიყო მეტად მოქნილი. აც შეეხება შრომის ბარის კვლევის შედეგად დამატებულ დაწესებულებებს, აღნიშნულს შორის არიან: ,,აჭარს ტელევიზია", ,,აჭარის რადიო", ,,აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდული კვლევის ცენტრი" და ,,ხელვაჩაურის ახალგაზრდული ცენტრი".
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო: 16:42

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1398792 21/12/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) და V-VI კლასის ქართულის ან მათემატიკის მასწავლებელი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	დაწყებითი საფეხურის საგანთა (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) მასწავლებელი
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლისმომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჯანაშიას ქუჩა #14, ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, 2100 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულია 11 რეკომენდაცია. აქედან, სრულად გათვალისწინებულია 8 რეკომენდაცია; ნაწილობრივ არის შესრულებული 2 რეკომენდაცია, ხოლო არ არის შესრულებული 1 რეკომენდაცია, რადგან არ იყო წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

აც შეეხება მე-5 და მე-9 რეკომენდაციებს, რომლებიც ნაწილობრივ იქნა შესრულებული, აღნიშნული ეხებოდა სამაგისტრო კვლევისთის აუცილებელის სასწავო კურსის შინაარსს, კერძოდ ,,კვლევის ნოვაციური მეთოდები განათლებაში" და ,,კვლევის დიფერენციაცია და დიფერენცირებული მიდგომა". თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსები არის გადახედილი და პრაქტიკული უნარჩევების შეფასების თვალსაზრისით დამატებულია კომპონენტები, დაიხვეწა ასევე რუბრიკები. მიუხედავად ამისა, კვლავ არის პატარა ხარვეზები ამ ორ სილაბუსთან დაკავშირებით. სასწავლო კურსი „კვლევის ინოვაციური მეთოდები განათლებაში" არ მოიცავს განახლებულ ინფორმაციას, რაც დაწესებულებას ანგარიშში აქვს წარმოდგენილი. იკვეთება რამდენიმე ხარვეზი: მოცემულია ზეპირი გამოკითხვა, მაგრამ განსაზღვრულია სტუდენტის 9-ჯერ გამოკითხვა, მაქსიმალური 2 ქულის შეფასებით. სავარაუდოდ, დარჩენილი 10 ქულა იწერება დებატებში, თუმცა სილაბუსში მოცემული ჩანაწერი ბუნდოვანია, ვერ ხდება გამიჯვნა შინაარსობრივად რას გულისხმობს დებატები, ზეპირი გამოკითხვა, კითხვა-პასუხი. საჭიროა სილაბუსის ავტორმა ნათლად ჩამოაყალიბოს ეს კომპონენტი. შუალედური შეფასების ერთი კომპონენტია კვლევა, თუმცა რეალურად იგულისხმება ანკეტის შევსება. სტუდენტი არ ადგენს ანკეტას თავად, შესაბამისად არ გამოიმუშავებს ამ ცოდნას და უნარს. ანკეტა გადაეცემა სტუდენტს ლექტორის მიერ და თოთოეულ შევსებულ ანკეტაში იწერება 0.5 ქულა. საჭიროა მოცემული იყოს დამატებითი ინფორმაცია რა ტიპის ანკეტაზეა საუბარი, ბუნდოვანია რა ცოდნა/უნარს ავითარებს მოცემული კომპონენტი. შეფასების მნიშვნელოვანი კომპნენტია კვლევის ანალიზი, თუმცა კომპონენტისთვის გამოყოფილი 5 ქულა არაა საკმარისი ადეკვატურად შეამოწმოს სტუდენტის

მიერ შესრულებული კვლევის ანალიზის სიღრმე. შუალედური და დასკვნით გამოცდები ისევ შედგება თეორიული საკითხებისგან. შესაბამისად, შეფასების ეს კომპონენტი ვერ განსაზღვრავს პრაქტიკული კვლევის უნარებზე გასვლას.

იგივე შენიშვნა არსებობს ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში მე-2 სასწავლო კურსთან მიმართებით. სასწავლო კურსის შინაარსი და სახელოდება არ შეესაბემა ერთმანეთს. გაუგებარია საუბარია დიაგნოსტიკურ კვლევის შესწავლაზე თუ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დიაგნოსტიკაზე. სილაბუსი წარმოდგენილი შინაარსით ამ უკანასკნელს ითვალისწინებს, შესაბამისად ავითარებს პედაგოგისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, თუმცა არ აკეთებს კონტრიბუციას კვლევითი უნარის განვითარებაზე. ამის გათვალისწინებით, უმჯობესია შეიცვალოს სასწავლო კურსის სახელწოდება.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექიზმი. დოკუმენტის მუხლ 7 საუბრობს ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობაზე, ასევე დანართი 1.2 -ით განსაზღვრულია ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგამის სტრუქტურის ნიმუში. დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია იმისათვის რომ ვიმსჯელოთ ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირების შესახებ. დაწესებულების ანგარიშში ნახსენებია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და მაგისტრატურის დებულება, თუმცა აღნინული დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-7 რეკომენდაცია, რომელიც არ იქნა შესრულებული დაწესებულების მხრიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშში რეკომენდაციასთან მიმართებით. ასევე, არ მოიპოვება დამატებითი დოკუმენტი/ბიუჯეტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს არა პროგრამული, არამედ საუნივერსიტეტო ბიუჯეტები, ყველა წყარო რაც უნივერსიტეტს აქვს და მოიპოვებს, მიემართება ყველა სასწავლო პროგრამის მდგრადობას. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პროგრამა არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ და არის პრიორიტეტული მიმართულება. ესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია არ უნდა ჩაითვაოს არ შესრულებულად, ვინაიდან მოცემული მდგომარეობა არის უნივერსიტეტის დამოკიდებულება.

რაც შეეხება რეგულეციების ნაწილს, წარმოდგენილ დოკუმენტში არის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების როლები, თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შეტანა, რაც იდენტურია როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და ინტეგრირებული პროგრამისთვის. სადაც მიდოგმა სპეციფიკურია, იქ განსხვავებულად არის აღწერილი პროცესები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტისთვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში, კერძოდ სასწავლო კურსის მარეგულირებელ წესში არის დეტალურად აღწერილი ინტეგრირებული საბაკალავრო სამგისტრო პროგრამის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა მე-5 რეკომენდაციასთან და განმარტა, რომ შეფასების რუბრიკები შეიცვალა ორივე სილაბუსში და მოხდა მათი დახვეწა. ზეპირი გამოკითხვა და დისკუსია ერთობლივად იძლევა 28 ქულას, აღნიშნული მოიცავს თეორიულ საკითხებს და ნელ-ნელა გადადის დისკუსიაში, დისკუსია მოიცავს 10 ქულას და მის ფარგლებში კონკრეტული წამოჭრილი საკითხის გარშემო სტუდენტები ამზადებენ კითხვებს და იმართება დისკუსია.

რაც შეხება კვლევას, სტუდენტი კი არ ავსებს ლექტორის მიერ მიწოდებულ ანკეტას, არამედ ამუშავებს, თუმცა დაწესებულება ეთანხმება ექსპერტს ამ საკითხთან მიმართებით და მოხდება მისი დაზუსტება, ვინაიდან 5 ქულაში საუბარია სწორედ დამუშავებული ინფორმაციის

ანალიზზე. მნიშვნელოვანია ასევე შუალედური და ფინალური გამოცდის საკითხი, მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრულია ღია ტიპის კითხვები და ქეისები, რაც დამატებული იქნა ექსპერტების რეკომენდაციის შედეგად.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების პოზიციაზე ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია განსაზღვრული იქნა საბჭოს მიერ, თუმცა დაწესებულების პოზიცია საკითხთან დაკავშირებით მისაღებია.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშილმა მოუწოდა დაწესებულებს წარმომადგენლებს განემრტათ ბიუჯეთან დაკავშირებული რეკომენდაციის არ გათვალისწინებს მიზეზები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2019 წელს როდესაც უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია, სტრატეგიულად უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ უნა ყოფილიყო ისეთი ბიუჯეტი და საუნივერსიტეტო ხედვა, რომ დაფინანსებულიყო მცირეკონტიგენტიანი ფაკულტეტი. საუნივერსიტეტო ბიუჯეტის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტს შეუძლია ფინანსები გადაანაწილოს საჭირო და აუცილებელ საკითხებს შორის.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:06
დასრულების დრო: 17:35
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად არ იქნა მიღებული, საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღის ვადა დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად. და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების შესახებ.
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო-კვლევითი ნაშრომისთვის მოსამზადებელი კურსების შინაარსი, აქტივობები და შეფასების სისტემა.
2. პროგრამის მდგრადობის გასაანალიზებლად, რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა.
3. რეკომენდირეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და სამუშაო პროცესებში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებთან ერთად შემუშავდეს ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირების წესები და მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

6.მეექვსე საკითხი : სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N820912; 11/09/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი / Bachelor of Information Technologies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი, საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერწარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ სულ გაცემული იყო შვიდი რეკომენდაცია და ასევე რჩევებიც. აღნიშნული შვიდი რეკომენდაციიდან სამი არის შეფასებული როგორც მეტწლად შესრულებული, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევები სრულიად იქნა შესრულებული და გათვალისწინებული.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ინტერნაციონალიზაციას შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში, კერძოდ სჯსუ-ს მიერ ანგარიშის ფაილში წარმოდგენილია პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პანდემიური პერიოდისა, უნივერსიტეტი ცდილობდა საერთაშორისო აქტივობების განხორციელებას. თუმცა, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ამ აქტივობების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, შემუშავდა ახალი სასაწავლო კურსებიც. კარგი იქნებოდა, თუ ამ კურსების სილაბუსები იქნებოდა წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარდა თანამშრომელთა გადამზადების ტრენინგი, რომელიც გაწერილი იყო Erasmus+ პროექტის გარგლებში. 2021 წელს ჩატარდა სტუდენტთა კონფერენცია. ანგარიშის თანახმად ეს უნდა ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენცია, თუმცა წარმოდგენილი მასალების მიხედვით იყო სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია. კონფერენციის პროგრამიდაც ჩანს, რომ ეს კონფერენცია არ იყო საერთაშორისო. 2020 წელს ჩატარებულია სტუდენტთა უნივრსიტეტთშორისი სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“. სჯსუ-მ წარმოადგინა 2020 წელს დადებული საგრანტო ხელშეკრულება Erasmus+ პროექტის ფარგლებში ტალინის უნივერსიტეტთან. რუმინეთის იაშის უნივერსიტეტთან 2020-2021 წლებისათვის გაკეთებულია საერთაშორისო მობილობის განაცხადი. ასევე, საერთაშორისო მობილობის დოკუმენტია წარმოდგენილი 2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მობილობების განხორციელების ამსახველი მასალა არ არის წარმოდგენილი.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სჯსუ-მ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა, სადაც დამატებულია 2 ალტერნატიული არჩევითი კურსი: - გეოსაინფორმაციო სისტემების (GIS) საბაზო საოპერაციო კურსი; - GPS აპარატურის კურსი. ანალიზის დოკუმენტის, ან სხვა მტკიცებულება დამსაქმებელთა მოთხოვნების შესახებ არ არის წარმოდგენილი. ანგარიშის ფაილში, 1.1. ქვესტანდრატის ნაწილში, ნათქვამია, რომ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში შემუშავდა სასწავლო კურსი „ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში“, თუმცა მისი სილაბუსი წარმოდგენილ მასალებს შორის არ არის.
აქვე უნდა აღინიშნოს მე-7 რეკომენდაცია რომელიც ასევე მეტწილად იქნა შეფასებული, კერძოდ სჯსუ-მ წარმოადგინა სტუდენტთა კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა და შესაბამისი აღწერაა ანგარიშის ფაილშიც. სამეცნიერო მიმართულებით, ნამდვილად ჩანს სტუდენტების ჩართულობა, თუმცა პროექტებში მათი ჩართულობა არ იკვეთება
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მიიჩნევს რომ ყველა რეკომენდაცია იქნა შესრულებული.
რაც შეეხება პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, 2021 წელს დაწესებულებამ ჩაატარა საერთაშორისო სტუდენტთაშორისო კონფრენეცია, სადაც მოწვეული იყო 5 მომხსენებელი, უმეტესობა მათგანი იყვნენ მაგისტრები და დოქტორანტები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამა წლის 28 ნოემბერს უკვე დაანონსებულია მეორე საერთაშრისო კონფერენცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ორივე ახალი სილაბუსი გამოგზავნილი იქნა სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ამასთან სტუდენტების მიერ უკვე განოხრციელდა მოცემული სასწავლო კურსების არჩევა.

აც შეეხება სტუდენტთა ჩართულობას, გარდა იმისა, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობს თავად დააორგანიზოს არა ერთი ღონისძიება და ამასთან მუდმივად ხდება სტუდენტებთან შეხვედრა. ამასთან ხშირად ტარდება სტუდენტებისთვის საჯარო ლექციები, მაგალითად ერთი თვის წინ თურქეთიდან იყო პროფესორი რომელმაც ჩაატარა ლექციები, გარდა ამისა ტარდება ოლიმპიადებიც. მნიშვნელოვანია ასევე რომ სტუდენტები იღებენ მონაწილოებას სასწავლო პროცესის მართვის სიტემის პროგრამის დახვეწაში, ასევე თავად უნივერსიტეტის ვებ-გვერდიც შექმნილია სტუდენტების მიერ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:50

დასრულების დრო: 17:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული **სსიპ -** სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

7. მეშვიდე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)/ Computer Engineering (Major)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N44, 7/18/2017
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 Electronics and Automation ელექტრონიკა და ავტომატიზაცია

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვთაცილება განაცხადა - მარინა ქუთათელაძე
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით 2017 წლის 18 ივლისს. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში, რომლის საფუძველი გახდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში გაგზავნილი წერილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი 0714. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS. პროგრამის სტრუქტურა შედგება ძირითად სწავლის სფეროს და არჩევითი სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტისგან.
პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და არაგეგმიური მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ განხორციელდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის შეფასება.
ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტების მხრიდან

არ მოხდა არგუმენტირებული პასუხის გაზიარება, თუმცა დაზუსტდა რამდენიმე რეკომენდაცია და დაემატა არგუმენტაცია.
უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამაში შეიცვალა მიზნები და შედეგები. შედეგები. ასევე შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, გაიზარდა ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი კურსების რაოდენობა, რიგ კურსებს შეეცვალა სტატუსი (გახდა სავალდებულო), რიგ საგნებში გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა. დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტის მოცულობა ნაცვლად 6 კრედიტისა განისაზღვრება 12 კრედიტით.
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით).
2. სტილისტურად შესატყვისი ლექსიკონით გაიწეროს პროგრამის პირველი შედეგი.
3. კომპეტენციათა რუკა გაიწეროს იმდაგვარად, რომ ნათლად იყოს წარმოდგენილი, თუ რომელი სასწავლო კურსი სწავლის შედეგს რა დონეზე ავითარებს.
4. სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II“ გახდეს არჩევითი.
5. სასწავლო კურსი ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები ისწავლებოდეს ან ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების კურსის პარალელურად ან წინ უსწრებდეს ამ კურსს.
6. პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა და ინჟინერია გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რომ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ABET EAC კომისიის მიერ დადგენილ სწავლის შედეგებს კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისთვის. ამასთან, აღნიშნული პროგრამის პარალელურად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას: “Computer Engineering (International)”, რომლის ფარგლებში გაიცემა იდენტური კვალიფიკაცია და რომლის სწავლის შედეგებიც ზუსტად იმეორებს ABET EAC კომისიის მიერ დადგენილ სწავლის შედეგებს. შესაბამისად, კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების ცვლილება მიზანშეწონილად დაწესებულებას არ მიაჩნია.
მნიშვნელოვანია ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებისათვის პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირის წარმოდგენა მიღწევადობის დონეების შესაბამისად არ წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტით

განსაზღვრულ სავალდებულო მოთხოვნას და აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უნდა ატარებდეს რჩევის ხასიათს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II" შეთავაზებულია ზოგადი მოდულის (თავისუფალი კომპონენტი - ზოგადი მოდული) ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს. ზოგადი მოდული მიზნად ისახავს საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს შესთავაზოს ზოგადი განათლების/კონტექსტის და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი შინაარსის კომპონენტები. ამასთანავე, ზოგადი მოდული და კონკრეტულად სასწავლო კურსები „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" შესაბამისობაშია ABET აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული ზოგადი განათლების კომპონენტის შინაარსსა და მიზნობრიობასთან. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევის ხასიათს.
მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება" წინაპირობად საჭიროებს დაპროგრამების ელემენტარული უნარების ცოდნას, რაც სავსებით მიღწევადია „შესავალი დაპროგრამებაში" სასწავლო კურსის შესწავლით და ვფიქრობთ, რომ „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურების" სასწავლო კურსი არ არის აუცილებელი წინაპირობა „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების" შესასწავლად. რაც შეეხება სასწავლო კურსს "ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები", მის დასაძლევად დაპროგრამების ელემენტების ცოდნა სავსებით საკმარისია, ხოლო "ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება", განამტკიცებს დაპროგრამების ელემენტების ცოდნას, რაც ვთვლით, რომ აუცილებელი წინაპირობა ხდება "ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები" კურსის წარმატებით გასავლელად.
მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ დაწესებულება არ იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-6 რეკომენდაციას, რადგან ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: „სისტემური დაპროგრამება", „მიკროპროცესორების არქიტექტურა და დაპროგრამება" დაპროგრამების კონტექსტში საკმარის ცოდნასა და უნარებს უვითარებს კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის კურსდამთავრებულებს და შესაძლებელს ხდის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამული უზრუნველყოფის სიღრმისეული შესწავლა კი, ამ შემთხვევაში სასწავლო კურსის: "პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა და ინჟინერია" საფუძველზე, ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძ ბუჩაშვილმა დააზუსტწ, რეკომენდაციებთან მიმართეით ხომ არ ექნებოდა პროგრამას პრობლემა ჩარჩოსთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ თავადა ABETის წარმომადგენლების მიერ იქნა ახსნილი, რომ არანაირი პეობლმემა არ არის ჩარჩოსთან მიმართებით, თუ შედეგებში იქნება მითითებული დეტალურად რომ ეს არის კომპიუტერული ინჟნიერიის პროგრამა. არსებული მდგომარეობით პროგრამას კვალიფიკაციასთან მიმართებით არ აქვს პრობლემა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:07

დასრულების დრო: 18:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე 2 მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

8.მერვე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	გერმანიისმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას, 0388
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო, კორპუსები A, B, C და D
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვთაცილება განაცხადა - მარინა ქუთათელაძე
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა 27 თებერვალს, რის ფარგლებშიც შეფასებული და შესწავლილი იქნა მოცემული პროგრამა. პროგრამა ხორციელდება კვალიფიკაციის ჩარჩოს ცვლილებების შემდგომ, შესაბამისად დაწესებულების მიერ გაზიარებული იქნა ახალი ჩარჩო ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით.
ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით დაწესებულებაში. ვიზიტის განმ,ავლობაში ექსპერტების შეხვდნენ სხვადასხვა ჯგუფებს, ასევე გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის ახალი ექსპერტებს მოუწიათ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს მიექოდ ამასალები, რომლებსაც ექსპერტები დეტალურად გაეცნენ.
რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის არცევითი სასწავლო ბლოკიდან სავალდებულოში გადასვლას, რაც იყო საკმაოდ მნიშვნეოვანი.
1.5 სტანდარტთან მიმართებით კი გაცემული იქნა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ, ბლოკის ცალკეულ სასწავლო კურსებში უნდა დაზუსტებულიყო მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართება, კონკრეტულად კი საქმე ეხება ,,გემრანულ-ქართული ლიტერატურული თარგამნი" ორივე სასწავლო კურსს. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ გერმნული ენის პრაქტიკულ საგნებში სწავლის შედეგების მიღწევადობა გაზომვადი ყოფილიყო.
რეკომენდაციების ასევე ეხებოდა კონკრეტულ არჩევით ბლოკს, სადაც ექსპერტთა შეფასების შედეგად უნდა დამატებულიყო ნატოსა და გრმანიის ურთიერთობის შესახებ საკითხები. ა ნატოს საგარეო პოიტიკის ასპექტები.
ბოლო რეკომენდაცია კი ეხებოდა ,,კომპარატისტული კვლევის ძირითად პრინციპების: სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობას ,კერძოდ ექსპერტების მიერ შეთავაზებული იქნა, რომ ან ინგლისური ენის ფლობა ყოფილიყო დაშვების წინაპირობა, ან ინგლისურენოვანი ლიტერატურა გადასულიყო დამატებით სასწავლო რესურსებში.
დასკვნის პროექტის წარმოდგენის შემდეგ, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც მოხდა ერთი რეკომენდაციის რჩევებში

გადატანა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა მიიიჩნია, რომ დაწესებულებსი მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იძლეოდა ამის შესაძლებლობას. გარდა ამისა, 2.1 კომპონენტში იყო ტექნიკური უზუსტობა, რაც დაზუსტა დაწესებულების მიერ და წარმოდგენლი იქნა ჩასწორებული სახით.
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულებსი წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამა არის სრულიად ახალი და ეს არის ერთგვარი ცდა რომ მოხდეს ძველი დარგის მოდიფიკაცია. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ უკვე დაიწყო მუშაობა რეკომენდაციების გათვალისიწნების მიზნით, იგეგმება რამდენმე ახალი საგნის დამატება, მოხდება გერმანულოვანი ლიტერატურის დამატებაც. დაწესებულება არსებითად ითვალიწინებს ყველა რეკომენდაციას, მათი ნაწილი უკვე გათვალისიწნებლიც იქნა, ხოლო რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა ტექნიკურ ხარვეზს რაც ასევე ჩასწორებული იქნა დაწესებულებსი მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ სამაგისტრო ნაშღომთან დაკავშირებით დააზუსტა სამაგისტრო სემინარის როლი და წვლილი. ამასთან, სემინარის სილაბუსი არის გერმანულ ენაზე, ხოლო ნაშრომი იწერება ქართულ ენაზე, შესაბამისად დააზუსტა თუ რამდენად მიყვება აღნიშნული მექანიზმი ზოგადად საუნივერსიტეტი კონცეფციას.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა რჩევა, გერმანული კულტურის ბლოკის გაფართოებასთან დაკავშირებით და დააზუსტა რამდენად წარმოადგენს აღნიშნული რჩევას და არა რეკომენდაციას და რამენად გეგმავს დაწესებულება მოცემულის გათალისწინებას.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა პროგრამაში მოცემული ორი სასწავლო კურსი, ,,ეკონომიკის საფუძვბელბი გერმანიის მაგალითზე" და ,,გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა". პირველ სასწავლო კურსში მოცემული თემები არის მიკრო და მაკრო ეკონომიკის პრინციპებიდან, რომელსაც სჭირდება მათიმატიკური ნაწილის ცოდნაც, ხოლო სახელმძრანელოები რომლებითაც აღნიშნული საგანი ისწავლება არაი საკმაოდ ფორმალიზებული მათემატიკის კუთხით. გამომდინარე აქედან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არის ინტერდისციპლინური, როგორ დაძლევენ მაგისტრანტები მოცემულ სასწავლო კურსებს. გარდა ამისა, მეორე სასწავლო კურსის ლიტერატურაში, ვერც ძრითადში და ვერც დამხმარეში არ არის ლუდვიდ ელხარდის ფუნდამენტური ნაშრომის, რომელიც მოიაზრება გერმანული ეკობომიკური პოლიტიკის მამად, შესაბამისად საკითხები მისი სახელმძღვანელოდან არ შეტანა გასაკვირია.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, სტანდარტის მოთხოვნა მემორანდუმებთან დაკავშრებით ავალდებულებს დაწესებულებას დეტალურად გაწეროს რაოდენობები, თუმცა

აღნიშნული პირობები პროგრამის ფარგლებში დადებული მემორანდუმების შეთანხმებაშ არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რჩევასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ხელოვნების საკითხები ფიგურირებს დაწესებულების პროგრამებში, თუ აღნიშნული პროგრამაც ამ კუთხით შეივსებოდა იქნებოდა დადებითი სრული სურათის შექმნისათვის. თუმცა პროგრამაში განსაზღვრული იყო კინო, შესაბამისად, ექპსერტებმა მიჩნიეს რომ საკითხი უნდა განსაზღვულიყო რჩევისა და არა რეკომენდაციის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული არის დასავლურ სივრცეში გავრცელებული პრაქტიკა. რაც შეეხება განსხვავებას, ზუსტად ამ ასპექტით განსხვავდება მოცემული პროგრამა საუნივერსიტეტო კონცეფციისგან. აღნიშნული არის ერთვარი დამხმარე კომპონენტი, რომლის მეშვეობთაც სტუდენტი უფრო დაგეგმილად და ეტაპობრივად ასრულებს ნაშომს, ამასთან ნაშრომის შეფასებაც მეტად გამჭვირვალე ადა მასში მონაწილეობს ოთხი ინსტანცია, კურსის წამყვანი, ხელმძღვანელი, რეცენზენი და კომისია. თუ კურსს გაუძღვება გერმანელი კოლეგა, პრეზენტაციები იქნება გერმანულად.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით დაწესებულება უკვე გეგმას გარკვეული ცვლილებების შეტანას, ამასთან იგეგმება გერმანული მუსიკის კურსის დამატება.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში აუცილებლად იქნება გათვალისიწნებული შენიშვნა სახელმძღვანელოს დამატებასთან დაკავშირებით. ოლო, რაც შეეხება პირველ სასწავლო კურსს, მოცემული საგნები არის არჩევითი, გარდა ამისა პროგრამა არის ღია ყველასთვის ვინც ფლობს გერმანულ ენას და აქვს სურვილი თავისი კვალიფიკაცია დაუკავშიროს გერმანულენოვან სამყაროს, ამიტომაც პროგრამის წარმომადგენლებს დასაშვებად მიაჩნიათ რომ ასეთ სტუდენტებში იქნებიან შესაბამისი წინარე ცოდნის მქონე პირები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მემორანდუმი პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე არის ზოგადი, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ პროგრამა არის ახალი და ჯერ არ ფუნქციონირებს. გარდა ამისა, პრაქტიკის ნაწილი პროგრამის ფარგლებში არ არის სავალდებულო კომპონენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენებაა

დაწყების დრო: 18:49

დასრულების დრო: 18:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ 6 ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია საგანი პირველი მსოფლიო ომი და საქართველო არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს სავალადებულო საგანთა ბლოკში;
2. გადაიხედოს სავალდებულო ბლოკის კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები და დაზუსტდეს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
3. მიზანშეწონილია დაზუსტდეს შეფასების ფორმები და რუბრიკები გერმანული ენის პრაქტიკული კურსების C1.1, C1.2 და C1.3 სილაბუსებში, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა;
4. დაემატოს არჩევით ბლოკს სასწავლო კურსი, რომელიც განიხილავს გერმანიისა და ნატოს-ს ურთიერთობებს, ნატოს საგარეო პოლიტიკის ასპექტებს;
5. **5.** მიზანშეწონილია სასწავლო კურსს ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" დაშვების წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა, ან ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა განისაზღვროს როგორც დამატებითი სასწავლო რესურსი.

რჩევები:

- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა სწავლის შედეგების რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილი სურათის ვიზუალიზაციის მიზნით.
- სასურველია გაფართოვდეს პროგრამის სავალდებულო ბლოკი („გერმანული კულტურა“) ისეთი სასწავლო დისციპლინებით, რომლებიც გერმანული კულტურის სხვა სფეროებსაც (მუსიკა, არქიტექტურა, ფერწერა და სხვ.) მოიცავენ.
- სასურველი დამატებით განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობა.
- სასურველი იქნებოდა, თუკი სასწავლო კურსებში „კანტის ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“, „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“: ტექსტი და კონტექსტი“, „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია“ და „ვალტერ ბენიამინის თეზისები ცნების შესახებ“ ძირითადი ლიტერატურის დიდი ნაწილი გერმანულენოვანი წყაროები იქნება;
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსების ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" და ,,ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია, რეცეფცია" სწავლის მიზანი - ,,მისცეს მომავალ ლიტერატურათმცოდნეებს სიღმისეული ცოდნა ლიტერატურის შედარებითი კვლევის ძირითადი პრონციპებისა და კატეგორიების შესახებ" და მოვიდეს სრულ თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან;
- სასურველია დაკორექტირდეს სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" არსებული ტექნიკური უზუსტობა და სწავლების საფეხურად მითითებულ იქნას სამაგისტრო საფეხური;
- სასურველია სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" განისაზღვროს ძირითადი ლიტერატურა.

- სასურველია შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის მიღების დოკუმენტში, კერძოდ, ზეპირი გამოცდის/გასაუბრების „კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარის“ კომპონენტის პირველ ქვეკომპონენტში.
- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მკაფიოდ გაიწეროს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთიანად, დასკვნითი შეფასების მეშვეობით, რომელიც დოკუმენტში მითითებულ ოთხივე ელემენტს მოიცავს.
- სასურველია, გადაიხედოს ბიუჯეტში პროგრამულ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი ხარჯები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 2023 წლის 11 მაისს დრო:19:00 საათზე გამოცხადდა დახურულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი